

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სოფელ ზუმის
მაჟორიტარი დეპუტატის ჯონი ჯალალონიას 2019 წელს გაწეული
საქმიანობის შესახებ ანგარიში

როგორც მოგეხსენებათ 2017 წლიდან ვარ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი. უფლებამოსილების განხორციელების დღიდან ვარ საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ასევე საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრი, შესაბამისად აქტიურად ვმონაწილეობ აღნიშნული კომისიის სხდომებში, სადაც განვიხილავთ ინიცირებულ პროექტებს, მოსახლეობის წინადადებებს და პეტიციებს.

ჩემი როგორც საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა ძირითადად მიმართულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების, მასში განხორციელებული ცვლილებებისა და გაწეული მუშაობის სამი თვის, ნახევარი წლის, ცხრა თვისა და წლიური ანგარიშის განხილვა - შეფასების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში გარდა არაოფიციალური შეხვედრებისა ამომრჩევლებთან ჩატარებული მაქვს გეგმიური შეხვედრები, სადაც განვიხილეთ სხვადასხვა სახის პრობლემური საკითხები. აღნიშნულ შეხვედრებში წამოჭრილი პრობლემებიდან მიმდინარე საანგარიშო წელს უკვე მოგვარებულია რიგი საკითხები, კერძოდ; ექსპლუატაციაში შევიდა ზუმი - წალენჯიხის დამაკავშირებელი დამაკავშირებელი 2,5 კმ - იანი ასფალტო - ბეტონის საფარიანი გზა, ამჟამად მიმდინარეობს და ერთ თვეში დასრულდება სოფლის ახალი ამბულატორიის შენობის მშენებლობა, ასევე რამოდენიმე დღეში დასრულდება სოფლის საბავშვო ბაღის შენობის სრული სარემონტო სამუშაოები.

მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით კეთილმოეწყო სოფლის ცენტრი, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა მინი - მოედანს, მოეწყო გარე - განათება სოფლის ცენტრიდან ამაღლების სახელობის ეკლესიამდე.

სტიქიით მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელი თანხებით მოეწყო სახიდე გადასასვლელი მდინარე სქურჩაზე და ხიდ - ბოგირი სანაჭყებოს უბანში, ასევე მოეწყო ნაპირსამაგრი გაბიონები მდინარე სქურჩაზე ორ ადგილას და მდინარე ხობიწყალზე სამ ადგილას.

გაუსაძლის საბინაო პირობებში მყოფ ხუთ ოჯახს გამოეყო 4500 ლარის დახმარება, ასევე ხანძრის შედეგად დაზარალებულ სამ ოჯახს გამოეყო 6500 ლარის დახმარება.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა ამჟამად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის პრობლემური საკითხების ეტაპობრივად გადაჭრის გზების ძიება ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად.

სოფლის მოსახლეობასთან მხარის გუბერნატორის, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის, მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს თავმჯდომარის ერთობლივ შეხვედრაზე პირველრიგში გადასაჭრელ

პრობლემებად დასახელდა შემდეგი სამი საკითხი; სოფლის წყლით მომარაგება, გაზიფიცირება დასოფლის ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საჯარო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია. ჩამონათვალი შეიძლება კიდევუფრო დიდი იყოს, თუმცა ეტაპობრივად იგეგმება პრობლემათა გადაჭრა.

ვიმედოვნებ 2020 წელს საკრებულოსა და მერიის ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტი სოციალური თუ ინფრასტრუქტურული საკითხების წარმატებით გადაჭრას შევძლებთ.

საკრებულოს წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე, სოფელ ზუმის
მაჟორიტარი დეპუტატი ჯონი ჯალაღონია
07.11.2019